ადა ნარდაია

საზოგადოებრივი კონტროლის მექანიზმი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებაში

გამოყენებული ტერმინები

საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შეთანხმება, ინსტიტუციონალური მოწყობა და ზედამხედველობის მექანიზმი, ადგილობრივი საკონსულტაციო ჯგუფები, გამჭვირვალობა, 2018-2020 წლების ევროკავშირ- საქართველოს ვაჭრობა და მდგრადი განვითარების სამოქმედო გეგმა.

მოკლე შინაარსი

ათწლეულზე მეტია, რაც ევროკავშირმა შექმნა საერთაშორისო შრომითი უფლებების სტანდარტი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებებში. სტანდარტი საშუალებას იძლევა ინსტიტუციურ დონეზე კონტროლის მიზნით, ჩართოს სამოქალაქო საზოგადოება. კერძოდ - იმ პოლიტიკების გატარებასა და შრომითი თუ გარემოს დაცვითი სტანდარტების დანერგვისა და აღსრულების პროცესში, რომელიც მდგრადი განვითარების და ვაჭრობის ნაწილით არის გათვალისწინებული.

აღნიშნული ამოცანის შესრულებაში, ევროკავშირს და მის პარტნიორ/ხელშემკვრელ მხარეებს ეხმარებათ ორმხრივად შექმნილი ერთიანი ადგილობრივი საკონსულტაციო ჯგუფები, რომლებიც დაკომპლექტებულია სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებით. აღნიშნულ ჯგუფებში, ასევე გათვალისწინებულია ისეთი აქტიური მხარეების მონაწილეობა, რომლებიც უზრუნველყოფენ მდგრად განვითარებას გარემოს/კლიმატის/შრომითი კანონმდებლობის დაცვის თვალსაზრისით.

2016-2019 წლებში საქართველოსა და ევროკავშირის ადგილობრივი საკონსულტაციო ჯგუფების მიერ ერთობლივად გაკეთე-

ბული განცხადებები განსაზღვრავს საზოგადოებრივი ორგანიზაციების ჩართულობის დონეს და მათთვის პრიორიტეტულ საკითხებს. ასევე, შესაძლებელია დადგინდეს მათი როლი საკანონდებლო ბაზის ცვლილების სხვადასხვა ეტაპზე, ამა თუ იმ პოლიტიკის განხორციელების პროცესში.

სტატიაში მიმოხილულია საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების როლი და გავლენა საქართველოს სახელმწიფოს მიერ ევროკავშირთან დადებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების განხორციელებაში და მართვაში ვაჭრობისა და მდგრადი განვითარების კუთხით. სხვადასხვა ქვეყნებთან მიმართებაში, მსგავსი კვლევები უკვე განხორციელებულია, თუმცა საქართველოს მაგალითზე აღნიშნული სიახლეა.

შესავალი

საერთაშორისო თანამეგობრობამ მდგრადი განვითარების კუთხით სამოქმედო გეგმებისა და სამართლებრივი ჩარჩოების ჩამოყალიბება ჯერ კიდევ გასული საუკუნის მიწურულს დაიწყო. 1992 წელს მიღებულ იქნა ,,განაწესი 21-ე საუკუნის გარემოსა და განვითარებაზე'', რომელშიც ახლანდელი და მომავალი თაობების კეთილდღეობა იქცა გამაერთიანებელ და საკვანძო პირობად (გაერო ,,განაწესი 21“ , გვ. 66).

მდგრადი განვითარების მიზნების გლობალურმა მიღებამ, ისევე როგორც პარიზის კლიმატური ცვლილებების ხელშეკრულებამ, გარემოს დაცვითი, ეკონომიკური და სოციალური საკითხების ერთიანობა კიდევ უფრო გაამყარა და აქტუალური გახადა როგორც პოლიტიკების დაგეგმვასა და განხორციელებაში, ასევე აკადემიურ საქმიანობაში. შრომითი და კლიმატის/გარემოს დაცვითი პრინციპების ხაზგასმას წინ უძღოდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებების გაფორმების

ტემპისა და ხელშემკვრელი მხარეების გეოგრაფიული არეალის ზრდა.

ევროკავშირის მასშტაბით, სოციალური ამბიცია მის მიერ გაფორმებულ თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებებში შემოვიდა 2008 წლიდან (EU-CARIFORUM ეკონომიკური პარტნიორობის შეთანხმების გაფორმებით). სოციალური ამბიციის ტრანსფორმაციის კუთხით, არაერთი კვლევა გამოყოფს ორ ეტაპს ა) 1990-2003 წლების პერიოდი და CARIFORUM და ბ) ,,გლობალური ევროპის'' თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებები 2008 წლიდან, რომლებშიც შრომითმა უფლებებმა ვრცელი და ფართო ასახვა ჰპოვეს.

ევროკავშირის თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებებში სწორედ 2008 წლის შემდგომ პერიოდს უკავშირდება სამოქალაქო საზოგადოების მექანიზმის დაარსება. ამგვარად და ამ პერიოდიდან ჩნდება გარემოსდაცვითი სტანდარტების და შრომითი ვალდებულებების ხაზგასმა და ტრანსნაციონალური სამოქალაქო საზოგადოების მექანიზმის ჩამოყალიბება, საკონსულტაციო ფუნქციით.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის 2014 წელს გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმება IV კარში მოიცავს ვაჭრობას და ვაჭრობასთან დაკავშირებულ საკითხებს. სწორედ აღნიშნული კარის მე-13 თავი შეეხება და არეგულირებს ვაჭრობის მდგრადი განვითარების საკითხებს. 227-ე მუხლის შესაბამისად, მხარეები ადასტურებენ თავიანთ ვალდებულებას, „ხელი შეუწყონ საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებას იმგვარად, რომ უზრუნველყონ მდგრადი განვითარების ძირითადი ამოცანების განხორციელება ახლანდელი და მომავალი თაობების კეთილდღეობისთვის და ამავე დროს უზრუნველყონ, რომ აღნიშნული ამოცანები გათვალისწინებული და ასახული იქნება მათი სავაჭრო ურთიერთობების თითოეულ საფეხურზე". ამავე დროს ,,ადასტურებენ თა-

ვიანთ ვალდებულებას, ხელი შეუწყონ მდგრად განვითარებას და აღიარებენ, რომ ეკონომიკური განვითარება, სოციალური განვითარება და გარემოს დაცვა მისი ურთიერთდამოკიდებული და ურთიერთგამაძლიერებელი საშუალებებია" (ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმება, გვ. 86).

მუხლი 240 ინსტიტუციური მოწყობისა და ზედამხედველობის მექანიზის შესახებ, ასევე მუხლი 241 ერთობლივი სამოქალაქო საზოგადოების დიალოგის ფორუმის შესახებ განსაზღვრავს და არეგულირებს ადგილობრივი საკონსულტაციო ჯგუფების ფორმირების წესსა და მანდატს და ემსახურება მდგრადი განვითარების საკითხებთან დაკავშირებით დიალოგის ფორმატის შექმნას (ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმება, გვ. 90-91).

სტატიაში გაანალიზებულია საქართველოში ადგილობრივი საკონსულტაციო ჯგუფების (ასჯ) როლი და შესაძლო გავლენა შესაბამისი თავით გათვალისწინებული სპექტრის განხორციელებაში. აღნიშნული მიზნის მისაღწევად გაანალიზებულია როგორც შეთანხმების შესაბამისი ნაწილი, ასევე ჩატარებულია ადგილობრივი საკონსულტაციო ჯგუფების განცხადებების კონტენტ ანალიზი. ამასთანავე, შესწავლილია შრომით და გარემოსდაცვით სფეროში საქართველოს კანონმდებლობა.

აქვე აღსანიშნავია, რომ სტატიაში გამოთქმული მოსაზრებები განსახილველია აკადემიური თავისუფლების ნაწილის ჭრილში და არ გამოხატავს ავტორის დამსაქმებლის (ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში) პოზიციას.

კვლევის საგანი და და მეთოდოლოგია

ადგილობრივი საკონსულტაციო ჯგუფების ერთობლივი განცხადებების კონტენტ ანალიზის საფუძველზე მოხდა 2016-2019 წლებში დინამიკის, პრიორიტეტებისა და კომპრომისების ანალიზი

პოლიტიკის განხორციელებისა და საკანონმდებლო ჩარჩოსთან მიმართებაში. ვინაიდან მხარეთა მიერ ერთობლივად გაკეთებული განცხადებები არის საჯარო, კონტენტ ანალიზის საფუძველზე განხორციელდა კომუნიკაციის შინაარსის პატერნების აღწერა და თანმიმდევრობის შემოწმება, განხორციელდა ოთხივე განცხადების საფუძველზე სტილისა და გამოყენებული ტექნიკის გაანალიზება.

კოდირებისას ყურადღება გამახვილდა სიტყვათა მნიშვნელობაზე და მათ გამოყენების რაოდენობასა და კონტექსტზე. კერძოდ კი: სამოქალაქო, დიალოგი, მოწოდება (encourage).

კონტექსტის მიმოხილვა

ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ეგიდით გამართულმა დოჰას მოლაპარაკების რაუნდის დინამიკამ, ბიძგი მისცა ახალი თაობის ორმხრივ და რეგიონალურ თავისუფალი ვაჭრობის გლობალურ დონის შეთანხმებებს. ევროკავშირის მიერ, პოსტ-დოჰას რაუნდის შემდგომ გაფორმებული თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები მოიცავს ყველა ხელშემკვრელ მხარესთან ინოვაციური ვაჭრობისა და მდგრადი განვითარების თავს.

ამ მიმართულებით ყველაზე დიდი მონაპოვარი და მიღწევა არის სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა აღსრულების პროცესში და მისი ინსტიტუციონალიზება. აღნიშნული მოდელის საკვანძო ელემენტებია: ორივე მხარის მიერ შექმნილი ადგილობრივი საკონსულტაციო ჯგუფები, ადგილობრივი საკონსულტაციო ჯგუფებისთვის ხელშეკრულების შესაბამისი კარის (ვაჭრობა და მდგრადი განვითარება) საზედამხედველო ფუნქციის მინიჭება და ყოველწლიური სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის გამართვა ორი ხელშემკვრელი მხარის ადგილობრივი საკონსულტაციო ჯგუფების მონაწილეობით.

2015 წელს კი ევროკავშირმა მიიღო სტრატეგია ,,ვაჭრობა ყველასათვის“, რომელმაც ხაზი გაუსვა ,,ღირებულებებს“ და ,,პასუ-

ხისმგებლიან“ ვაჭრობას. 2018 წელს ვაჭრობის ევრო კომისარმა სესიალია მალმსტრომმა წარადგინა ვაჭრობისა და მდგრადი განვითარების 15 პუნქტიანი სამოქმედო გეგემა, რომელშიც სამოქალაქო კონტროლის მექანიზმი გამორჩეულად ხაზგასმულია. აღნიშნული გეგმა ასევე მოიცავს ადგილობრივი საკონსულტაციო ჯგუფების მხარდაჭერის საკითხს (ევროკომისია, Feedback and way forward on improving the implementation and enforcement of Trade and Sustainable Development chapters in EU Free Trade Agreements, გვ 5).

ვაჭრობის წვლილი ეკონომიკური განვითარების ტენდენციებში უმნიშვნელოვანესია. ამასთან მნიშვნელოვანია, რომ მსგავსი ინოვაციური/ახალი თაობის მექანიზმები ჩასმულია ვაჭრობაში ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი ფუნქციების ჭრილში, მდგრადი განვითარების შესწავლის მიზნით. ამოსავალი წერტილია ადგილობრივი საკონსულტაციო ჯგუფებისათვის მრჩევლის, საკონსულტაციო, ინსტიტუციონალიზებული და კომპეტენტური ფუნქციის მინიჭება. მისი განხორციელება ნიშნავს ვაჭრობისა და მდგრადი განვითარების კარით გათვალისწინებული ნორმების აღსრულებას.

მსგავსი ჯგუფების საზედამხედველო მანდატი მოიცავს შრომის მსოფლიო ორგანიზაციის ძირითად შრომით სტანდარტებს და ფუნდამენტურ კონვენციებსა და მრავალმხრივ გარემოსდაცვით შეთანხმებებს. საკვანძო საკანონმდებლო ბაზის შესრულება, ისეთის როგორიცაა მაგალითად შეკრების თავისუფლება, კოლექტიური ხელშეკრულებები, სოციალური დიალოგი, ჯანმრთელობის დაცვა, შრომითი უსაფრთხოება, შრომის ინსპექცია წარმოადგენს განსაკუთრებული ყურადღების ეპიცენტრს ადგილობრივი საკონსულტაციო ჯგუფებისთვის.

კვლევის საგანი ერთის მხრივ ლიმიტირებული იყო იმ თვალსაზრისით, რომ ადგილობრივი საკონსულტაციო ჯგუფების კონცეფცია, როგორც სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის მექა-

ნიზმი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებებში სიახლეა საქართველოს შემთხვევაში და დაახლოებით ხუთ წელიწადს მოიცავს.

შედეგების ანალიზი, მათ შორის საკანონმდებლო ჭრილში ადგილობრივი საკონსულტაციო ჯგუფების წევრები და ინსტიტუციური მექანიზმები

ვინაიდან საკვლევი საგანი იყო სამოქალაქო კონტროლის მექანიზმი, ხოლო შეთანხმების შესაბამის თავში ეს ჩართულობა დიალოგის როლს ასრულებს ოთხივე განცხადებაში სამოქალაქო და დიალოგის რაოდენობრივი და კონტექსტუალური ანალიზი განხორციელდა. ამასთან, ადგილობრივი საკონსულტაციო ჯგუფების გავლენის განსაზღვრის მიზნით დაკვირვება მოხდა მოწოდების (encourage) კონტექსტსა და გამოყენების სიხშირეზე.

კოდირებული სიტყვა სამოქალაქოს გამოყენება მხარეებმა გამართულ ოთხ შეხვედრაზე გარკვეული პატერნით გამოიყენეს. ოთხივე შემთხვევისთვის იყო დამახასიათებელი მათი ფუნქციისა და როლის ხაზგასმა, რაც გამოიხატა შეთანხმების ვაჭრობა და მდგრადი განვითარების შესახებ თავის შესრულების ანგარიშის ჩაბარებით და მათი მხრიდან სამომავლო შეხვედრებში წინადადებების მიღების მოწოდებით. პირველ შეხვედრისას სამოქალაქო სიტყვის გამოყენება მოხდა თექვსმეტ შემთხვევაში, თუმცა ეს დაკავშირებულია მეტწილად პროცედურულ საკითხებთან და არა საზოგადოებრივი კონტროლის მექანიზმის შინაარსთან. მეოთხე შეხვედრის მსვლელობისას, ევროკავშირმა მოახდინა დამატებით მესიჯების გამოყენება სამოქალაქო სექტორის (ადგილობრივი საკონსულტაციო ჯგუფების) მისამართით. კერძოდ - ხაზი გაუსვა სამოქალაქო სექტორის მჭიდრო ჩართულობის საჭიროებას და აღნიშნა მისი მხარდამჭერი ფორმატები (4th meeting of the European Union-Georgia Sub-Committee (SC) on Trade and Sustainable Development (TSD) Joint statement to the Civil Society Dialogue Forum. 2019. გვ. 3).

რაც შეეხება სიტყვა დიალოგის გამოყენების სიხშირესა და კონტექსტს - ოთხივე შემთხვევაში მისი გამოყენების პატერნი მსგავსია და მიმართულია როგორც სამოქალქო საზოგადოებასთან ურთიერთობის გამომხატველ ფორმასთან, ასევე ვაჭრობა და მდგრადი განვითარების თავით გათვალისწინებული საკითხების კონსულტაციისკენ.

მოწოდების (encourage) კონტენტი განსხვავდებოდა ოთხივე განცხადების გაკეთების მომენტისთვის. გამოყენების სიხშირე პირველ ორ შემთხვევაში იყო სტაბილურად სამი, ხოლოდ მესამე და მეოთხე შეხვედრისას იკლო და ბოლოს დაფიქსირდა მისი გამოყენების მხოლოდ ერთი შემთხევა. მიუხედავად ამისა, მოწოდების (encourage) გამოყენების კონტექსტი მკაფიოდ მიანიშნებდა იმ პრიორიტეტული და აქტუალური მიმართულებების განხორციელების საჭიროებას, რომელიც უმეტეს შემთხვევაში შეეხება შრომით უფლებებს, თუმცა ასევე მოიცავს შედარებით ნაკლები მოცულობით გარემოსა და კლიმატის საკითხებს.

ევროკავშირის მხარის ადგილობრივი საკონსულტაციო ჯგუფი დაკომპლექტებულია შვიდი წევრით. აქედან სამი წარმომადგენელი არის ევროპის ეკონომიკური და სოციალური კომიტეტიდან, ხოლო დანარჩენი ბიზნესევროპიდან, ევროპალატიდან, ევროპის პროფესიული კავშირიდან და პროფკავშირების საერთაშორისო კონფედერაციიდან[1]. საქართველოს მხრიდან ადგილობრივი საკონსულტაციო ჯგუფი დაკომპლექტებულია თორმეტი წევრით. ესენი არიან: საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია, საქართველოს ბიზნეს ასოციაცია, ამერიკის სავაჭრო პალატა, საქართველოს მცირე და საშუალო ზომის ბიზნეს ასოციაცია, მწვანე ალტერნატივა, საქართველოს მწვანეთა მოძრაობა - საერთაშორისო დედამიწის მე-

[1] https://www.eesc.europa.eu/en/sections-other-bodies/other/domestic-advisory-group-georgia/organisation

გობრები, გლობალური გამოცდილება საქართველოსთვის, საქართველოს პროფესიული კავშირების კონფედერაცია, ელკანა, ადამიანის უფლებების შესწავლისა და მონიტორინგის ცენტრი, კონსტიტუციის 42-ე მუხლი, საქართველოს პროფესიული კავშირების კონფედერაცია.

ხელშეკრულების 240-ე მუხლი, რომელიც ეხება ინსტიტუციური მოწყობისა და ზედამხედველობის მექანიზმს, მე-4 პუნქტით შემდეგნაირად განსაზღვრავს ადგილობრივი საკონსულტაციო ჯგუფის (ჯგუფების) მოწვევის საკითხს: ,,თითოეულმა მხარემ უნდა მოიწვიოს ახალი ან უკვე არსებული ადგილობრივი საკონსულტაციო ჯგუფი (ჯგუფები), რათა განიხილოს აღნიშნული თავის მიხედვით გათვალისწინებული მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული საკითხები. ამგვარ ჯგუფს (ჯგუფებს) საშუალება ექნება მხარეებს წარუდგინონ შეხედულებები ან რეკომენდაციები ამ თავის განხორციელების შესახებ, მათ შორის მისი (მათი) საკუთარი ინიციატივით“ (ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმება, გვ. 91).

აღნიშნული მუხლის მე-5 პუნქტი ხაზს უსვამს ჯგუფის დაკომპლექტებისას წევრთა დამოუკიდებლობას, ,,რომელშიც დაბალანსებული იქნება ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი მხარეების მონაწილეობა, დამსაქმებელთა და დასაქმებულთა ორგანიზაციების, არასამთავრობო ორგანიზაციების, ბიზნეს ჯგუფების, აგრეთვე სხვა შესაბამისი დაინტერესებული მხარეების ჩათვლით“ (ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმება, გვ. 91).

ერთობლივი სამოქალაქო საზოგადოების დიალოგის ფორუმის საკითხს, ხელშეკრულება განსაზღვრავს 241-ე მუხლით, რომლის უმთავრესი მიზანია დიალოგი შეთანხმებით გათვალისწინებულ მდგრადი განვითარების საკითხებზე. ფორუმი ღიაა შესაბამისი დაინტერესებული მხარეების მონაწილეობისთვის, თუმცა უმ-

თავრესად ის მოიცავს დამსაქმებელთა და დასაქმებულთა წარმომადგენლებს, გარემოსდაცვითი ინტერესებისა და ბიზნეს ჯგუფების წარმომადგენლებს, რათა უზრუნველყოფილ იქნას შესაბამისი ინტერესების თანაბარზომიერი/დაბალანსებული წარმოჩენა.

აღნიშნული მუხლის მე-3 პუნქტი პირდაპირ მოუწოდებს მხარეებს ,,წარადგინონ განახლებული ინფორმაცია წინამდებარე თავის განხორციელებასთან დაკავშირებით ერთობლივი სამოქალაქო საზოგადოების დიალოგის ფორუმის წინაშე. ერთობლივი სამოქალაქო საზოგადოების დიალოგის ფორუმის შეხედულებები და მოსაზრებები უნდა წარედგინოს მხარეებს და გასაჯაროვდეს“ (ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმება, გვ. 91).

აქედან გამომდინარე, ამოცანა იყო, ევროკავშირსა და საქართველოს შორის არსებული ადგილობრივი საკონსულტაციო ჯგუფების მიმართ სამოქალაქო საზოგადოების დიალოგის ფორუმის ფარგლებში, მხარეებს შორის გაკეთებული ერთობივი განცხადებების ანალიზი და მათი შემდგომი გავლენის გაზომვა პოლიტიკის განხორციელებაში. ამგვარად, გაიზომა სამოქალაქო კონტროლის მექანიზმის ეფექტიანობა ვაჭრობისა და მდგრადი განვითარების თავის განხორციელებაზე.

გამჭვირვალობის ვალდებულება მხარეებს შორის გათვალისწინებულია 237-ე მუხლში, კერძოდ ,,თითოეულმა მხარემ ადგილობრივი კანონმდებლობისა და ამ შეთანხმების IV კარის (ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები) მე-12 თავის, რომელიც ეხება გამჭვირვალობას, უნდა უზრუნველყოს, რომ ,,ნებისმიერი ღონისძიება, რომლის მიზანია გარემოსა და/ან შრომითი პირობების დაცვა, რომლებმაც შესაძლოა გავლენა მოახდინონ ვაჭრობასა და ინვესტიციებზე, იქნება მომზადებული, განხილული და განხორციელებული გამჭვირვალედ, წინასწარი დროული შეტყობინებითა და საჯარო განხილვებით, შესაბამისი და დროული კომუნი-

კაციითა და კონსულტაციებით არასამთავრობო სექტორთან“ (ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმება, გვ. 89).

ერთობლივი სამოქალაქო საზოგადოების ფორუმისთვის საქართველოსა და ევროკავშირს შორის არსებული ვაჭრობისა და მდგრადი განვითარების ქვეკომიტეტის მიერ გაკეთებული ერთობლივი განცხადებების ანალიზი

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმების თავი 13, ვაჭრობა და მდგრადი განვითარების ფარგლებში შექმნილი ვაჭრობისა და მდგრადი განვითარების ქვეკომიტეტის ერთობლივი განცხადებები, ერთობლივი სამოქალაქო საზოგადოების ფორუმისთვის, წარმოადგენს იმ სახელმძღვანელო დოკუმენტს, რომელიც ერთობლივად არის მიღებული, მოიცავს ვაჭრობისა და მდგრადი განვითარების ნაწილს და ითვალისწინებს სამოქალაქო კონტროლის მექანიზმს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების შესრულებაზე.

აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ერთობლივი ოთხი განცხადების დინამიკა, გამოყენებული ენა და საჭიროებები, რომელიც ხაზგასმულია ორივე მხარის მაღალი თანამდებობის პირების მიერ, სამოქალაქო საზოგადოებისთვის. საყურადღებოა ასევე ის ასპექტები, რომელიც ექცეოდა ორივე მხარისთვის განგრძობად თემებად. ასევე რა ვადაში და რა დინამიკით იცვლება ჩასატარებელი სამუშაოების/პოლიტიკების ჩამონათვალი. ასევე რამდენი რეკომენდაციის გათვალისწინება მოხდა და რას გაესვა ხაზი და რა ფორმით.

ერთობლივი სამოქალაქო საზოგადოების ფორუმისთვის საქართველოსა და ევროკავშირს შორის 2016 წლის 27 იანვარს გამარ-

თული ვაჭრობისა და მდგრადი განვითარების ქვეკომიტეტის მიერ პირველი ერთობლივი განცხადების ანალიზი

ორივე მხარის მაღალი თანამდებობის პირებმა ერთობლივ სამოქალაქო საზოგადოების ფორუმს წარუდგინეს ვაჭრობისა და მდგრადი განვითარების თავით გათვალისწინებული საკითხების შესრულების ანგარიში. პირველმა განცხადებამ ხაზი გაუსვა დადებით წვლილს, რომელსაც ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცე ასრულებს მდგრადი განვითარებისთვის, ვინაიდან ის არ ხორციელდება შრომითი პირობებისა და გარემოსთვის ზიანის მიყენების ხარჯზე. სამოქალაქო საზოგადოების მჭიდრო ჩართულობას პირველივე განცხადებაში გაესვა ხაზი. ტექსტმა შეაჯამა აქამდე ჩატარებული მოსამზადებელი სამუშაოები. კერძოდ, ქვეკომიტეტის პროცედურებზე მუშაობა და ექსპერტთა სიის შედგენა.

მნიშვნელოვანია, რომ ქვეკომიტეტი სწორედ აღნიშნული შეხვედრის მსვლელობისას შეთანხმდა ერთობლივი სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის (შემდგომში ფორუმი) სამოქმედო წესზე და მის მანდატზე. უმთავრესად კი ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცით გათვალისწინებულ მდგრადი განვითარების ასპექტებთან დაკავშირებულ გამჭვირვალე დიალოგზე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან და მსგავს ორგანიზაციებს შორის.

საყურადღებოა, რომ ხაზი გაესვა სამოქმედო პროგრამის შემუშვების საჭიროებას, რომელიც კავშირშია ვაჭრობასა და მდგრად განვითარებას შორის. მხარეებმა ამ მიზნის მისაღწევად განსაზღვრეს 2016 წლის ბოლოს დაგეგმილი მეორე შეხვედრა. შრომით და გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით ერთობლივ განცხადებაში დეტალური შეფასებები გაკეთდა. კერძოდ, ხაზი გაესვა არსებულ მიღწევებს და გამოიკვეთა ის მიმართულებები სადაც საქართველოს მომავალში აქვს ნაბიჯები გადასადგმელი.

პირველი ერთობლივი განცხადების შინაარსი, შრომით და გარემოსდაცვით საკითხებთან მიმართებაში, საერთო ჯამში, დადებითია და არსებულ პროგრესს უსმევს ხაზს. განსაკუთრებით ეს შეეხება გარემოსდაცვით ნაწილს და (კლიმატური ცვლილებების შესახებ) პარიზის შეთანხმების ხელმოსაწერად გამართულ წარმატებულ მოლაპრაკებებს. საქართველომ აღნიშნული დოკუმენტს ხელი მოწერა 2016 წლის 22 აპრილს, ხოლო მისი რატიფიცირება განახორციელა 2017 წლის 8 მაისს. მიუხედავად იმისა, რომ საერთო ჯამში გამოყენებული იყო დადებითი შეფასებები, განცხადების ტექსტმა ხაზი გაუსვა ბიზნესისა და მოქალაქეებისთვის სარგებლის მოტანის მიზნით, გარემოსდაცვითი საკითხების გაძლიერების მნიშვნელობას.

შრომით საკითხებთან დაკავშირებით კი ქვეყნის მიერ განსახორციელებელი ნაბიჯების ჩამონათვალი უფრო ვრცელი აღმოჩნდა. საქართველოს მოუწოდეს გააძლიეროს შრომითი მედიაციის მექანიზმი და სამმხრივი სოციალური პარტნიორობის კომისიის მუშაობა. ამასთანავე მოუწოდეს დაასრულოს და ეფექტურად განახორციელოს შრომითი ინსპექციის რეფორმა.

ერთობლივი სამოქალაქო საზოგადოების ფორუმისთვის საქართველოსა და ევროკავშირს შორის, 2016 წლის 30 ნოემბერს, გამართული ვაჭრობისა და მდგრადი განვითარების ქვეკომიტეტის მიერ, მეორე ერთობლივი განცხადების ანალიზი

ხელშემკვრელ მხარეთა ვაჭრობისა და მდგრადი განვითარების ქვეკომიტეტის მიერ გაკეთებული მეორე ერთობლივი განცხადების ტექსტმაც ხაზი გაუსვა ვაჭრობისა და მდგარდი განვითრების ღირებულებით პრინციპს, რომელიც მოიცავს ეკონომიკურ, სოციალურ და გარემოსდაცვით ღირებულებებს და წონასწორობის დაცვას მათ შორის.

შინაარსობრივად, შრომით ნაწილთან დაკავშირებით უმეტესად გამოყენებული იყო შემაჯამებელი მსჯელობა. ამავდროულად ქვეყანას მოუწოდეს, მოახდინოს შრომის მსოფლიო ორგანიზაციის C144 კონვენციის რატიფიცირება, რომელიც ეხება სამმხრივ კონსულტაციებს და ბავშვთა შრომისა და შრომითი უფლებების განხორციელებისთვის საჭირო საკანონმდებლო ჩარჩოს გაძლიერებას.

გარემოსდაცვით ნაწილში, ევროკავშირი მიესალმა ქვეყნის გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის სამუშო ვერსიის შექმნას და მოუწოდა სახელმწიფოს მისი სწრაფად მიღებისკენ. ასევე ქვეყანას მოუწოდეს გამხდარიყო, UNECE-ს Espoo-ს ტრანსსასაზღვრო კონტექტში, გარემოსდაცვითი შეფასების კონვენციის და მისი ოქმის მონაწილე (ხელმოწერილი აქვს, მაგრამ დღემდე არაა რატიფიცირებული). აქ, ისევე როგორც სხვა მრავალმხრივ, გარემოსდაცვით კონვენციებში, მჭიდრო თანამშრომლობის საჭიროებას გაესვა ხაზი. კლიმატის კონვენციასთან დაკავშირებით, ევროკავშირმა მოუწოდა შეთანხმების სწრაფად რატიფიცირებისკენ.

მხარეებმა, ასევე, ისაუბრეს 2017-2020 წლების სამუშო გეგმის პრიორიტეტულ მიმართულებებზე. მნიშვნელოვანია, რომ ვაჭრობისა და მდგრადი განვითარების კომიტეტის მონაწილე მხარეებმა გამოხატეს ,,ინტერესი მოისმინონ მოსაზრებები, ერთობლივი სამოქალაქო საზოგადოების დიალოგის ფორუმის მხრიდან, ვაჭრობისა და მდგრადი განვითარების თავის შესრულებასთან დაკავშირებით, ისევე როგორც, კონკრეტულად სამუშაო გეგემის შინაარსთან დაკავშირებით“. მომავალი შეხვედრის თარიღად განისაზღვრა 2017 წლის მესამე კვარტალი.

ერთობლივი სამოქალაქო საზოგადოების ფორუმისთვის საქართველოსა და ევროკავშირს შორის 2018 წლის 20 მარტს გამართული ვაჭრობისა და მდგრადი განვითარების ქვეკომიტეტის მიერ მესამე ერთობლივი განცხადების ანალიზი

მხარეებმა, მესამე შეხვედრის მსვეველობისას, ხაზი გაუსვეს, საგარეო ორმხრივი ვაჭრობის განვითარებას იმგვარად, რომ მან ხელი შეუწყოს მდგრად განვითარებას, ,,რომელიც მოიცავს ეკონომიკურ განვითარებას, სოციალურ განვითრებას და გარემოს დაცვას". აღნიშნულ ფორმატში სამოქალაქო საზოგადოების დამსწრე წარმომადგენლებს ეცნობათ, რომ ვაჭრობისა და მდგრადი განვითარების 2018-2020 წლების სამოქმედო გეგმის პრიორიტეტების ძირითად პარამეტრებზე და პრინციპებზე შეთანხმება მოხდა. აღნიშნული გეგემის მიღების ვადად მიჩნეულ იქნა 2018 წლის აპრილის ბოლო.

შრომით ნაწილთან დაკავშირებით, საქართველოს მოუწოდეს გააფართოვოს შრომის უსაფრთხოების კანონის არეალი ეკონომიკური საქმიანობის ყველა სექტორზე და მოუწოდეს შრომის ინსპექციის სრულფასოვანი ამუშავებით უზრუნველყოს შრომითი უფლებების განხორციელება.

კვლავ ყურადღების ცენტრში მოექცა გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი, რომლის მიღება დადებითად იქნა შეფასებული. თუმცა კვლავ დისკუსიის საგანი დარჩა UNECE-ს Espoo-ს ტრანსსასაზღვრო კონტექტში გარემოსდაცვითი შეფასების კონვენციის და მისი ოქმის მონაწილეობის საკითხი.

ერთობლივი განცხადების დასასრულს, კვლავ იქნა ხაზგასმული, რომ ვაჭრობისა და მდგრადი განვითარების ქვეკომიტეტი ელის და მოუწოდებს, ერთობლივ სამოქალაქო საზოგადოების ფორუმს, გამოხატოს მოსაზრებები, ვაჭრობისა და მდგრადი განვითარების თავის განხორციელების საკითხზე.

ერთობლივი სამოქალაქო საზოგადოების ფორუმისთვის საქართველოსა და ევროკავშირს შორის 2019 წლის 26 მარტს გამართული ვაჭრობისა და მდგრადი განვითარების ქვეკომიტეტის მიერ მეოთხე ერთობლივი განცხადების ანალიზი

მოცემულმა ერთობლივმა განცხადებამაც ასევე ხაზი გაუსვა სამოქალაქო კონტროლის მექანიზმის მნიშვნელობას, ვაჭრობისა და მდგრადი განვითარების თავით გათვალისწინებული საკითხების განხორციელებაში. ამავდროულად, მან შეახსენა მხარეებს, რომ ,,სოციალური სამართლიანობა, შრომითი უფლებების პატივისცემა და გარემოსდაცვითი სტანდარტები“ უნდა იქნას გათვალისწინებული ეკონომიკური განვითარების გზაზე.

მეოთხე განცხადებაში გამორჩეული ყურადღება დაეთმო 2018-2020 წლების ვაჭრობისა და მდგრადი განვითარების სამოქმედო გეგემის მიღების საკითხს, რომელიც დასრულდა 2018 წლის ივნისში. ეს წარმოადგენს ორმხრივად შეთანხმებულ უმნიშვნელოვანეს სახელმძღვანელო დოკუმენტს.

შრომით ნაწილთან დაკავშირებით, ხაზი გაესვა შრომის ინსპექციის დეპარტამენის შესაძლებლობების ზრდის საჭიროებას. სწორედ ამ შეხვედრისა და ერთობლივი განცხადების ფარგლებში, საქართველომ დაადატურა მზადყოფნა 2019 წლიდან შეიმუშაოს ადგილობრივი კანონმდებლობა, რომლის მიხედვით ის მოიცავს მაღალი რისკის შემცველ, საშიშ და მავნე სფეროების ზედამხედველობას, შრომის ინსპექციის დახმარებით 2020 წელს, ხოლო 2022 წლიდან ეკონომიკის ყველა სექტორს დაფარავს.

გარემოსდაცვით ნაწილებთან დაკავშირებით, ევროკავშირი დაინტერესდა საქართველოს მიერ გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსისა და გარემოზე ზემოქმედების შეფასებისა და გარემოს სტრატეგიული შეფასების სფეროში კანონმდებლობის განხორციელებით.

წინა სამი განცხადების მსგავსად, მხარეებმა ერთობლივი განცხადების დასასრულს, კვლავ გაამახვილეს ყურადღება მდგრადი განვითარების ქვეკომიტეტის დაინტერესებაზე, მიიღოს ერთობლივი სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის მოსაზრებები და შეფასე-

ბები ვაჭრობისა და მდგრადი განვითარების თავის განხორციელების საკითხზე.

ოთხივე შეხვედრის ფარგლებში გაკეთებული განცხადებების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დასკვნა გამოვიტანოთ, რომ მხარეებმა ყოველ ჯერზე ჩააბარეს ანგარიში სამოქალაქო საზოგადოებას, ვაჭრობა და მდგრადი განვითარების თავით გათვალისწინებული საკითხების შესრულების შესახებ. ეს გამოიხატა იმ მიმართულებების პროგრესისა და საკითხების ხაზგასმით, სადაც სამომავლო ნაბიჯების გადადგმა არის საჭირო.

ამასთან ყოველ ჯერზე მკაფიოდ მოხდა მკაცრად ხაზგასმა ვაჭრობაში მდგრადი განვითარების პრინციპებზე, რაც გამოიხატება ეკონომიკური განვითარების პროცესში ისეთი მიმართულებების გათვალისწინებითა და დაბალანსებით როგორიცაა სოციალური სამართლიანობა, შრომითი უფლებების პატივისცემა და გარემოსდაცვითი ნაწილი (კლიმატის ჩათვლით).

გარდა ამისა, 2016-2019 წლების შეხვედრების შედეგებმა საშუალება მოგვცა შევაჯამოთ მოლაპარაკების პროცესი, რომელიც შეთანხმების მე-13 თავის შესრულებას ახლდა თან. ის ხასიათდებოდა თანმიმდევრულობით, თუმცა ერთგვარი სირთულით, რაც მაგალითად გამოიხატა, ისეთი უმნიშვნელოვანესი სამოქმედო დოკუმენტის მიღებით, როგორიცაა ვაჭრობისა და მდგრადი განვითარების 2018-2020 წლების სამუშო გეგემა.

სწორედ ხსენებულმა დოკუმენტმა მოუყარა თავი ორი წლის განმავლობაში განსახორციელებელი საკანონმდებლო და პოლიტიკის დონეზე დაგეგემილ ღონისძიებს. ამასთან მან მოიცვა წარმოდგენილი შესაბამისი თავისთვის მნიშვნელოვანი ყველა მიმართულება და განსაზღვრა სხვადასხვა მხარეთა მონაწილოება და როლი განხორციელების პროცესში.

2018-2020 წლების ვაჭრობისა და მდგრადი განვითარების სამუშაო გეგმა

2018-2020 წლების ვაჭრობისა და მდგრადი განვითარების სამუშაო გეგმამ ნათლად განსაზღვრა გარემოს დაცვისა და კლიმატის მიმართულება და შრომითი საკითხები. აღნიშნულმა გეგმამ ასევე მკაფიოდ წარმოაჩინა შედეგები, ინდიკატორები, პასუხისმგებელი უწყებები და მიუთითა დაფინანსების წყაროები.

გარემოს დაცვისა და კლიმატის მიმართულებით ორმხრივად შეთანხმებულმა დოკუმენტმა ხაზი გაუსვა სამ პრიორიტეტულ მიმართულებას. ესენია: ველური ბუნებით არალეგალური ვაჭრობა, ტყის მდგრადი მართვა და კლიმატის ცვლილების შესახებ გაეროს ჩარჩო კონვენცია. შრომით უფლებებთან დაკავშირებით კი პრიორიტეტული მიმართულებები იყო: საკვანძო შრომითი სტანდარტების ეფექტური განხორციელება - შრომითი ინსპექციის, ბავშვთა შრომისა და სოციალური დიალოგის მიმართულებით.

სამივე ქვეყანასთან მიმართებაში გამოიკვეთა შრომის კანონმდებლობაზე მუშაობის აუცილებლობა და ტყის რესურსების მართვა, როგორც საკვანძო და გადამწყვეტი ელემენტები ვაჭრობისა და მდგრადი განვითარების თავით გათვალისწინებული პრიორიტეტული საკითხები. განხილულ შემთხვევებში შესაბამისმა ქვეკომიტეტმა სწორედ მათ მნიშნველობაზე და განხორციელების აუცილებლობაზე გააკეთა აქცენტები სამოქალაქო საზოგადოებასთან. აქედან გამომდინარე, საინტერესოა საქართველოს მაგალითზე გავაანალიზო რა მდგომარეობაა შრომისა და ტყის კანონმდებლობასთან დაკავშირებით.

2018 წლის განმავლობაში შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტმა იმუშავა. ამ პერიოდიდან ამუშავებული კანონის მიხედვით, შრომის ინსპექტორებს გაუფრთხილებლად შემოწმების უფლება მიენიჭათ შრომითი პირობების შემოწმების მიზნით. ვინაიდან დასაქმების სფეროები შემოიფარგლე-

ბოდა მომეტებული საფრთხის შემცველ, მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაოებზე, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგნლების, ასევე დარგის ექსპერტების კრიტიკა შეეხებოდა კანონის გარკვეულ შეზღუდვებს, ამდენად მოგვიანებით საჭირო გახდა საკანონმდებლო ცვლილების დარეგისტრირება.

კერძოდ ეს შეეხებოდა ეკონომიკური საქმიანობის ყველა სფეროზე ინსპექტირების უფლების გავრცელებას, შრომის უსაფრთხოების ექსპერტის დანიშვნას, წინასწარი შეტყობინების გარეშე ინსპექტირებას დღე-ღამის ნებისმიერ მონაკვეთში და ა.შ.

2019 წლის 19 თებერვალს მიღებულმა საქართველოს ორგანულმა კანონმა ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ“ გააუქმა „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს 2018 წლის 7 მარტის კანონი (საქართველოს პარალმენტი, 2019. გვ. 27). ორგანული კანონის თავი VIII, რომელიც ეხება გარდამავალ და დასკვნით დებულებებს, განსაზღვრა 2019-2022 წლებზე კანონის ასამოქმედებელი ზომა, ისევე როგორც მისაღები და გამოსაცემი ნორმატიული აქტების ნუსხა.

მიმდინარე ეტაპზე ექსპერტების და სხვადასხვა მონაწილეთა (იგულისხმება როგორც ბიზნესი ასევე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები) განხილვის საგანია მორიგი ცვლილიებები შრომის კანონმდებლობაში. კერძოდ ეს შეეხება შრომის ინსპექციის შესახებ კანონში ცვლილებას. პროექტი ეფუძნება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 81-ე კონვენციას. რაც შეეხება საქართველოს ორგანულ კანონს, საქართველოს შრომის კოდექსის შესახებ, აღნიშნული ცვლილებების პროექტი, ინსპირირებულია ევროდირექტივებითა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის რეკომენდაციებით. იგი მოიცავს ისეთ დირექტივებთან შესაბამისობას, როგორიცაა: შრომითი დისკრიმინაციის აკრძალვა (EU Directives: 2006/54/EC – 1.10.2018; 2000/43/EC - 1.10.2017; 2000/78/EC – 1.10.2017); (ILO Conventions: 100, 111); შრომითი ხელშეკრულებები (EU Directive 1999/70/ EC – 1.10.2018; 91/533/EEC – 1.10.2018); არასრული სამუშაო

დრო (არამხოლოდ ნახევარი განაკვეთი) (EU Directive 97/81/EC – 1.10.2018); სამუშაო დროის ხანგრძლივობა (EU Directive 2003/88/EC – 1.10.2020); ცვლაში მუშაობა (EU Directive 2003/88/EC -1.10.2020); ზეგანაკვეთური სამუშაო (EU Directive 2003/88/EC -1.10.2020); ღამის სამუშაო (EU Directive 2003/88/EC - 1.10.2020); დამატებითი შესვენება პრენატალური გამოკვლევებისთვის (EU Directive 92/85/EEC - 1.10.2018); დასვენების დღეები (EU Directive 2003/88/EC - 1.10.2020); დეკრეტული შვებულება (დედობის, მამობის და მშობლის შვებულება) (EU Directives 92/85/EEC - 1.10.2018; 2006/54/EC - 1.10.2018) ; შრომის ანაზღაურება (EU Directives 2006/54/EC -1.10.2018); შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები და წესი; შრომითი ურთიერთობის შეჩერება; მასობრივი დათხოვნა (EU directive 98/59/EEC - 1.10.2019); საწარმოს გადაცემა; (EU Direcive 2001/23/EC - 1.10.2019) გაფიცვა (ILO-ს ექპერტთა კომიტეტის დასკვნა); მედიაციის შედეგების აღსრულება; ინფორმაცია და კონსულტაცია სამუშაო ადგილზე (EU Directive 2002/14/EC - 1.10.2018) და ა.შ.

,,საქართველოს ტყის კოდექსი" საქართველოს პარლემენტში დარეგისტრირდა 2019 წლის თებერვალში და მიღებულ იქნა შესაბამისი ორგანოს მიერ 2020 წლის მაისში. კოდექსის გარკვეული უხლების ამოქმედება განსაზღვრულია 2021 წლის 1-ლი იანვრიდან ხოლო სრული ამოქმედება დაიწყება 2025 წლის 1-ლი იანვრიდან.

დასკვნა

2014 წლიდან საზოგადოებრივი კონტროლის მექანიზმი შემოღებულია საქართველოში. იგი ფოკუსირებულია ვაჭრობისა და მდგრადი განვითარების თავით გათვალისწინებული საკითხების განხორციელებისას სამოქალაქო კონტროლზე.

ამავდროულად, აღნიშნული ერთობლივი დიალოგის ფორუმი წარმოადგენს ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებული ასოცირების შეთანხმების ერთერთ მექანიზმს, რომე-

ლიც კურირებს შრომის, გარემოსა და კლიმატის საკითხებზე დაბალანსებულ კონსულტაციას ორივე მხარის მონაწილეობით.

კველვის ფარგლებში ჩატარებული კონტენტ ანალიზით დადგინდა, რომ სამოქალაქო სექტორის როლი თანმიმდევრულად ხაზგასმულია და მათ ჩართულობის მიზანშეწონილება მხარეთა მიერ მოთხოვნილია და გათვალისწინებულია. ამავდროულად, უზრუნველყოფილია და ინსტიტუციონალიზებულია შესაბამისი პროცედურული საკითხები.

ადგილობრივი საკონსულტაციო ჯგუფების ფუნქციონირებისას, მათ ეფექტიანობის კუთხით კი შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ყველა თანმიმდერულად და ეტაპობრივად აისახება საკანონმდებლო და პოლიტიკის დოკუმენტებში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გაერო (1992) ,,დღის წესიგი 21“ https://sustainabledevelopment.un.org/content/documents/Agenda21.pdf

2. ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის (2014) http://www.parliament.ge/ge/ajax/downloadFile/34753/AA GE https://eur-lex.europa.eu/legal-content/en/TXT/PDF/?uri=CELEX:22014A0830(02) EN

3. ევროკავშირი (2015) ,,ვაჭრობა ყველასათვის“ https: //trade.ec.europa.eu/doclib/docs/2015/october/tradoc_153846.pdf

4. ევროკომისია (2018) Feedback and way forward on improving the implementation and enforcement of Trade and Sustainable Development chapters in EU Free Trade Agreements https://trade.ec.europa.eu/doclib/docs/2018/february/tradoc_156618.pdf

5. ASSOCIATION AGREEMENT between the European Union and its Member States, of the one part, and Ukraine (2014)

https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:22014A0529(01)&from=EN

6. JOINT STATEMENT Ukraine – EU Trade and Sustainable Development Sub-Committee to the Joint Civil Society Forum (2017) https://trade.ec.europa.eu/doclib/docs/2018/may/tradoc_156841.pdf

7. JOINT STATEMENT Ukraine – EU Trade and Sustainable Development Sub-Committee to the Joint Civil Society Forum (2018) https://trade.ec.europa.eu/doclib/docs/2018/november/tradoc_157499.11.2018%20final.pdf

8. JOINT STATEMENT Ukraine – EU Trade and Sustainable Development Sub-Committee to the Joint Civil Society Forum (2019) https://trade.ec.europa.eu/doclib/docs/2019/december/tradoc_158497.11.2019%20EU%20UA%20final.pdf

9. ASSOCIATION AGREEMENT between the European Union and the European Atomic Energy Community and their Member States, of the one part, and the Republic of Moldova (2014) https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:22014A0830(01)&from=EN

10. EU-GEORGIA ASSOCIATION AGREEMENT IMPLEMENTATION FRAMEWORK Trade and Sustainable DevelopmentWork Plan 2018-2020 (2018) http://www.dcfta.gov.ge/public/filemanager/publications/EU%20Georgia%20TSD%20work%20plan_2018-2020%20.pdf

11. 1st meeting of the Georgia – European Union Trade and Sustainable Development (TSD) Sub-Committee (SC) Joint statement of the Parties to the Joint Civil Society Forum (2016) http://www.dcfta.gov.ge/public/filemanager/publications/1st%20TSD%20SC%20EU-Georgia%20Joint%20statement%20to%20Civil%20Society%20Forum.pdf

12. 2nd meeting of the Georgia – European Union Sub-Committee (SC) on Trade and Sustainable Development (TSD) Joint statement to the Civil Society Dialogue Forum (2016) https://ec.europa.eu/transparency/regexpert/index.cfm?do=groupDetail.groupDetailDoc&id=30386&no=6

13. 3rd meeting of the Georgia – European Union Sub-Committee (SC) on Trade and Sustainable Development (TSD) Joint statement to the Civil Society Dialogue Forum (2018) http://www.dcfta.gov.ge/public/filemanager/publications/3rd%20TSD%20SC%20EU-Georgia%20Joint%20statement%20to%20Civil%20Society%20Forum.pdf

14. 4th meeting of the European Union-Georgia Sub-Committee (SC) on Trade and Sustainable Development (TSD) Joint statement to the Civil Society Dialogue Forum https://trade.ec.europa.eu/doclib/docs/2019/april/tradoc_157854.pdf

15. საქართველოს პარალმენტი (2019) https://matsne.gov.ge/ka/document/view/4486188?publication=0

Ada Nardaia

Civil control mechanism in the Free Trade Agreements

It has been more than a decade since the European Union (EU) set standards for the international labor rights in its Free Trade Agreements (FTAs). The mentioned standards allow involvement of civil society groups via institutional channel. In particular it entails, implementation of sustainable development and trade part of the FTA through introduction and implementation of labor rights and environmental/climate protection involving Jointly established Domestic Advisory Groups (DAG).

Civil society representatives, represented at DAGs are assisting the EU and its Partners / Contracting Parties in fulfilling Trade and

Sustainable Development mandate. The DAGs also include stakeholders who ensure sustainable development in terms of environmental / climate / labor protection.

The Joint Statements issued by the DAGs of Georgia and the EU during 2016-2019, define the level of involvement of Non-governmental organizations as well as priority issues. At the same time, this is also possible to define their role at different stages of adopting the relevant legislation as well as implementation of the policy.

The article reviewed impact of Georgian civil society, namely DAGs in the implementation and management of trade and sustainable development chapter by the Georgian state as stipulated in the Association Agreement. In various countries, studies regarding civil control mechanisms in FTAs are usual practice, although in terms of Georgian context this is a novelty.

On balance, since 2014 Georgia has institutionalized public control that focuses on civic control in the implementation of trade and sustainable development issues. Content analysis conducted within the study found that the role of the civil society sector is consistently emphasized and the appropriateness of their involvement is requested and considered by the parties and relevant procedural issues are present.